საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი

ქ. თბილისი "20" 04 2012 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 487/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 19 მარტის № 66570/03 განაცხადით შპს „ახალშენი 2005–ის" (მის: წერეთლის გამზ.55, კორპ.1, ბინა 124) წარმომადგენელმა გოჩა ცხენოსანიძემ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „OKAMI" (რეგ. N 22501) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „OKAMI" (რეგ. N 22501) საქართველოში რეგისტრირებულია 20.04.2012 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 20.04.2022 წლამდე. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „OKAMI" (რეგ. N 22501) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნათა რეესტრში (მოთხოვნის რეგისტრაციის N 39, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 20.04.2012).

ასლი დამოწმებულია
20 04 2012 წ.

0114, თბილისი, რუსთაველის გამზ. №30; ტელ.: (+995 32) 225-25-33; ფაქსი: (+995 32) 298-84-19; E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე ირაკლი ღვალაძე

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ეკონომიკური საზღვრის დაცვის დეპარტამენტს, შპს „ახალშენი 2005–ის" წარმომადგენელს გოჩა ცხენოსანიძეს მის: წერეთლის გამზ.55, კორპ.1, ბინა 124.